SEEDER LTD

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქ-ნო ნინო,

წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს.

გაცნობებთ, რომ შპს „სიდერი" -ს (ს/კ 404 389 577) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, საკადასტრო კოდი 26.25.11.228, მოწყობილია 9 ჰა - ზე ლურჯი მოცვის ბაღი. წვეთოვანი სარწყავი სისტემით მორწყვის მიზნით დაგეგმილია წყლის აღება მდინარე ბოინიდან, რომელიც მიედინება ჩვენს ტერიტორიაზე ლურჯი მოცვის ბაღს მიმდებარედ.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1,3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სქრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბაღის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებულია და წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს.

დანართი - სკრინინგის განაცხადი;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
ნაკვეთის საკადასტრო გეგმა;
ზედაპირული წყლის აღების ადგილმდებარეობის რუკა.

პატივისცემით,
რუსუდან ხარგელია
შპს „სიდერის"
დირექტორი

09 ნოემბერი, 2020

Seeder Ltd
Address: 10, Mirza Gelovani Street, 0160, Tbilisi, Georgia; Registered in Georgia, No 404 389 577;
Tel: +995 322 380 313; +995 599 177 774; rkhargelia@gmail.com

№ 17508
"9" 11 2020